



უფლებების განმარტება

გადაეცემა პიროვნებას, რომელმაც უნდა მისცეს ჩვენება

(ზოგადი განმარტებები)

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია უნდა მოგეწოდოთ თქვენთვის გასაგებ ენაზე.

თქვენ გეცნობათ იმის თაობაზე, რომ ჩვენების მისაცემად თქვენი დაბარების მიზეზი არის ერთი ან რამდენიმე საფუძვლიანი ეჭვი თქვენს მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ან ჩადენის მცდელობის თაობაზე.

თქვენ გაქვთ უფლება იცოდეთ იმ სამართალდარღვევის სავარაუდო კვალიფიკაციის, თარიღის და ადგილის შესახებ, რომელშიც ხართ ეჭვმიტანილი.

თქვენ გაქვთ უფლება ნებისმიერ დროს დატოვოთ ადგილი, სადაც მიმდინარეობს ჩვენების მიცემა.

თქვენ ასევე გეცნობათ, რომ გაქვთ უფლება:

გააკეთოთ განცხადებები, უპასუხოთ შეკითხვებს ან შეინარჩუნოთ დუმილი.

მას შემდეგ, რაც თქვენ დაასახელებთ თქვენს ვინაობას, თქვენ გაქვთ უფლება:

- გააკეთოთ განცხადება,
- უპასუხოთ დასმულ შეკითხვებს,
- შეინარჩუნოთ დუმილი.

ისარგებლოთ ადვოკატის მომსახურებით

თუკი სამართალდარღვევა, რომლისთვისაც თქვენ აძლევთ ჩვენებას არის სისხლის სამართლის დანაშაული ან დანაშაული, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, შესაძლებელია ჩვენების მიცემის ან მოწმეებთან დაპირისპირების დროს ადვოკატის დასწრება.

- ადვოკატის არჩევა

თქვენ გაქვთ უფლება თავად აირჩიოთ ადვოკატი. იმ შემთხვევაში თუ თქვენ არ გაქვთ შესაძლებლობა აირჩიოთ ადვოკატი, ან თქვენს მიერ არჩეულ ადვოკატთან შეუძლებელია დაკავშირება, თქვენ შეგიძლიათ ითხოვოთ ადვოკატის დანიშვნა ადვოკატურის ხელმძღვანელის (le bâtonnier de l'ordre des avocats) მიერ.

ადვოკატის მომსახურების საფასურის გადახდა გეკისრებათ თქვენ. ასევე შეგიძლიათ გააკეთოთ განაცხადი უფასო იურიდიულ მომსახურებაზე წვდომის თაობაზე. პირობები გადმოგეცემათ დანართის სახით.

- **ადვოკატის მომსახურება**

ადვოკატს ექნება უფლება:

- გაგესაუბროთ ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს საუბრის კონფიდენციალობას;
- და დაესწროს ჩვენების მიცემისა და მოწმებთან დაპირისპირების პროცესს. თქვენ შეგიძლიათ დათანხმდეთ ჩვენების მიცემას ადვოკატის გარეშე.

ისარგებლოთ თარჯიმნის მომსახურებით

თუ თქვენ არ საუბრობთ ან არ გესმით ფრანგული, თქვენ გაქვთ უფლება ისარგებლოთ თარჯიმნის უფასო მომსახურებით ჩვენების მიცემისა და მოწმებთან დაპირისპირების დროს, ასევე თქვენს ადვოკატთან ურთიერთობისას.

გქონდეთ წვდომა თქვენი საქმის გარკვეულ მასალებზე

თქვენი ან თქვენი ადვოკატის თხოვნის საფუძველზე, შეგიძლიათ გაეცნოთ თქვენი ჩვენებების და მოწმებთან დაპირისპირების ოქმს ან ოქმებს.

ისარგებლოთ იურისტის კონსულტაციით

თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიიღოთ, საჭიროების შემთხვევაში უფასო, იურიდიული კონსულტაცია, შესაბამის სტრუქტურებში, რომელთა საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია დანართის სახით.